

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

დადგენილება

1995 წლის 4 იანვარი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

მუშაობის განახლების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სოხუმის დაცემისა და აფხაზეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, 1994 წლის 10 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაითხოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იმ პირობით, რომ აფხაზეთში სეპარატისტების მიერ ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნოწმენდის შედეგად გამოძევებული ასიათასობით დევნილის დაბრუნების შემდეგ განისაზღვრებოდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი მსოფლიოს მიერ ცნობილი, გაეროს რეზოლუციებით არაერთხელ დადასტურებული ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და მომზადებულიყო საფუძველი აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

მიუხედავად ამისა, ყოველგვარ ლეგიტიმურობას მოკლებულმა, ეროვნული უპირატესობის ნიშნით, დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის საფუძველზე მოსახლეობის უმცირესი ნაწილის მიერ 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულმა გუდაუთის სეპარატისტულმა დაჯგუფებამ კვლავ უკანონოდ გააგრძელა აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს სახელით მოქმედება, მიიღო ე.წ. "რესპუბლიკა აფხაზეთის" კონსტიტუცია, აირჩია მისი პრეზიდენტი, გამოაცხადა აფხაზეთის რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

ამავე დროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატები, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და რომელთაც, ჯერ კიდევ აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე შეაჩერეს საქმიანობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, ვ. არძინბასა და მისი სეპარატისტული დაჯგუფების ანტიკონსტიტუციური დაჯგუფებისადმი პროსტესტის ნიშნად ამჟამად ფუძეყრილნი, იმყოფებიან დევნილობაში საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების ქალაქებსა და რაიონებში, ხოლო ლეგიტიმური ხელისუფლების ვაკუუმი აფხაზ სეპარატისტებს საშუალებას აძლევს, გაიხანგრძლივოს თავისი დანაშაულებრივი უზურპატორული

საქმიანობა, არ დაუშვას დევნილთა დაბრუნება, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ადგენს:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭომ განაახლოს თავისი მუშაობა 1995 წლის 4 იანვრიდან იმ დეკლარაციების შემადგენლობით, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებასთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში (დეკლარაცია სია თან ერთვის).

2. . აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭომ თავისი საქმიანობა წარმართოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციითა და იმ საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კანონმდებლობას, შექმნას აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, აფხაზეთიდან დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობის საკუთარ კერებში დაბრუნებისა და აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

3. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

თ. ნადარეიშვილი